



გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის ჯვრის მდგომარეობის აღწერა და სამომავლო რეკონსტრუქციები

გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არქიმანდრიტი კირიონის მომართვის N 157 / 01.05.2025 საფძველზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა ნინო კალანდაძემ, ფრიდონ ლობჯანიძემ და ირაკლი ბაქრაძემ, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის ჯვრის მდგომარეობა ადგილზე შევისწავლეთ ამა წლის 6 მაისს.



ობიექტის აღწერა

ჯვრის ტიპი: გუმბათის ჯვარი

- მაქსიმალური სიმაღლე – 331 სმ
- მაქსიმალური სიგანე – 209 სმ
- სფეროს დიამეტრი – 157 სმ
- სპილენძის ფირფიტის სისქე – 1.5-1.8 მმ



მასალები: სპილენძი, რკინა, ოქრო, ხე

ტექნიკა-ტექნოლოგია:

1. სპილენძის ჭედვა, ფორმირება და მირჩილვა
2. რკინის კონსტრუქციის ჭედვა და ფორმირება
3. მექანიკური დამაგრება (მოქლონები, სამსჯვლეები)
4. მოოქროება

1



2





3



4

რკინის კარკასზე შემოჭედილია სპილენძის მოოქრული ფირფიტები, რომლებიც ქმნიან მის მხატვრულ იერსახეს. ჯვრის მკაღვები და ცენტრი აქცენტირებულია სპილენძის მრგავლი ჭვირული ფორმებით (ცენტრის წრე ზომით აღემატება მკლავების წრეებს). ჭვირულ წრეებს მოქლომებით დამაგრებული აქვს კლაკნილი, სწროხაზოვანი და შეისრული თავებით დაბოლოებული დეკორატიული ელემენტები – სხივები? (არსებობს მოსაზრება, რომ ჯვრიდან გამომავალ სხივებს, დეკორაციულთან ერთად, უპირველესად პრაქტიკული დანიშნულება აქვს). ჯვრის ცენტრალური ნაწილის ჭვირულ წრეს მოქლომებით დამაგრებული აქვს მხოლოდ კლაკნილი ელემენტები, ხოლო წრის დიაგონალზე, ოთხი კლაკნილი ელემენტი ბოლოვდება 9 ქიმიანი 2 ვარსკვალით (ქვედა მხარეს), და 8 ფურლოვანი 2 ყვავილოვანი ორნამენტით ზედა მხარეს).

ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ბოლოებზე აქვს ქართული ასომთავრული წარწერა: „ძლევაი ქრისტესი“.

სტრუქტურული ელემენტები

ჯვრის ვერტიკალური მკლავის ქვედა ნაწილი ბოლოვდება დიდი ზომის ღრუ, ნაჭედი სპილენძის სფეროთი, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. სფეროს ქვედა ნახევარს აქვს წელშეზნეპილი დაბოლოება, რომლის ღრუტანი შევსებულია ხის ფრაგმენტებით. სფეროს ეს ნაწილი ხის საფუძველზე სამსჭვლებით იყო დამაგრებული, რასაც ადასტურებს ზედაპირზე არსებული ნახვრეტები.

დაზიანებები და ინტერვენციები:

სფეროს დაბოლოება დეფორმირებულია



დაფარულია თერმოსაიზოლაციო ქაფით, ნეოცემენტიტა და შავი საღებავით (შეიძლება ფისი)



ზედაპირზე აღმოჩენილია უხეში შეკეთების კვალი



რკინის კონსტრუქციასთან შეერთების ადგილი დაფარულია სქელი შავი ფენით, სადაც ჩასმულია მორკალული სპილენძის ფირფიტა (მეხამრიდი)



ჯვრის ვერტიკალური მკლავის ზედა ნაწილი ყველაზე მეტადაა დაზიანებული – გახსნილია სპილენძის ფირფიტა, და მოჩანს რკინის კონსტრუქცია. სავარაუდოა, რომ ამ ადგილზე მუდმივად ხდებოდა ნალექის ჩადინება, რაც გამოხატულია კოროზიის ნიშნებით.



მოოქროვება

ჯვარი მთლიანად მოოქრულია, თუმცა სხვადასხვა ადგილებში გამოყენებულია განსხვავებული სისტემის მოოქროვება.

დაზიანების ტიპოლოგია


ჯვრის ზედაპირზე და სტრუქტურულ ნაწილებში გამოვლენილია სხვადასხვა სახის დაზიანებები, რომელთა კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

1. მექანიკური დაზიანებები:

სპილენძის ფირფიტების გახსნა და დეფორმაცია ვერტიკალური მკლავის ზედა ნაწილში



სფეროს ქვედა ნაწილის დეფორმაცია



სტილიზებული შუბისპირის თავები გატეხილია



ნარსულში გამოყენებული სამსჯვლების სისტემების ნარჩენები, რომლებიც მიაწოდებდნენ გადამონტაჟებას ან გადაკეთებას. თავდაპირველად მის ადგილას ავთენტური მოქლონი უნდა ყოფილიყო.



2. ქიმიური დაზიანებები:

რკინის კონსტრუქციის ჟანგვის პროცესი



3. თერმული და კლიმატური ზემოქმედება:

ზედაპირებზე მოჩანს მრავალწლიანი ატმოსფერული ზემოქმედების კვალი: გახუნებული და გაცვეთილი მოოქროვება



თერმოსაიზოლაციო მასალების (ქაფი, წებო, ფისი) არაკომპეტენტური გამოყენება



4. ესთეტიკური და ტექნოლოგიური დეფორმაცია:

წებოცემენტის და შავი საღებავის უხეში ფენები არღვევს ავტენტურობას და ფარავს შემაერთებელი დეტალების რეალურ მდგომარეობას



კონსერვაციის რეკომენდაციები

ჯვრის სტრუქტურული და ვიზუალური მთლიანობის აღდგენა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც მასალათაშორის კოორდინაციას, ასევე მისი იკონოგრაფიული და ისტორიული ღირებულების შენარჩუნებას:

1. საფუძვლიანი დოკუმენტირება:

- ფოტოდოკუმენტაცია

2. სტაბილიზაცია:

- ზედაპირის განმენდა შესაბამისი მეთოდით (მექანიკური)
- სპილენძის ფირფიტების გახსნა და შემდგომ დაზიანებული ადგილების შევსება (გახნის დროს ზუსტად გამოჩნდება რკინის მდგომარეობა). ჯვრის დაშლა შეუძლებელია ნაწილობრივ მოქლონების დაზიანების გარეშე. აღდგენის შემთხვევაში გარდაუვალია მოქლონების გარკვეული ნაწილის სრული ან ნაწილობრივ განადგურება.
- რკინის კონსტრუქციის გამაგრება ინერტული დამცავი ფენით ან ახლი უჟანგავი მასალით ჩანაცვლება

3. ზედმეტი მასალების მოცილება:

- თერმოსაიზოლაციის მასალების ფრთხილი მოცილება
- წებო-ცემენტისა და საღებავის ფენების განმენდა, საჭიროების შემთხვევაში ლოკალურად. არა ავთენტური ქანჭიკის მოშორება და მოქლონით ჩანაცვლება, რომელიც ვიზუალურად და ტექნოლოგიურად არსებული მოქლონების მსგავსი იქნება

4. მოოქროვების რეკონსერვაცია:

- ოქროსფერი ფენის დასაცავად ლაქის გამოყენება, დაზიანებული ადგილების ფურცლოვანი მოოქროვება ან მთლიანი ჯვრის მოოქროვება ფურცლოვანი მოოქროვების გამოყენებით

5. სტრუქტურული რესტავრაცია:

- ხის შიდა სტრუქტურის გაძლიერება ან საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლება ადეკვატური მასალით
- სპილენძის პერანგის დაზიანებული ადგილების რეკონსტრუქცია: ფურცლის გასწორება, პირი-პირზე მიტანა, საჭიროების შემთხვევაში ახალი ფრაგმენტის ჩაკერება და მირჩილვა
- დეკორატიული ელემენტების ხელახალი დამაგრება (საჭიროების შემთხვევაში – რეპლიკაცია და ჩანაცვლება განსხვავებული ტონით)

6. მეხამრიდის სისტემის გადამოწმება:

- სპილენძის ფირფიტისა და რკინის კონტაქტის შემოწმება ელ. გამტარობაზე
- თანამედროვე მეხამრიდის ინტეგრაცია ისე, რომ არ დაირღვეს მხატვრული იერსახე

7. გუმბათის ჯვრის დამაგრება:

- გუმბათზე რესტავრირებული ჯვრის დამაგრების კონსტრუქციული ნახაზის მომზადება, შესაბამისი მასალის განსაზღვრით